საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა ნაციონალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.: უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

პარასკევი, იანვრის 27 1922 წ.

ჯუმბერ დავითის ძე და თამარ ივანეს ასული ნიჟარაძეები, როსკან ოტიას ასული და ალექსანდრე გიორგის ძე ერისთავები შვილებით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარის

## დავით ოტიას ძე ნიჟარაძის

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში ამ თვის 29 ცხედრის გამოსვენება ბინიდან საკათედრო ტაძარში დანიშნულია დილის 10 საათზე (პეტრიაშვილის ქუჩა). პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

ორშაბათს, ამ თვის 23 ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა

## დავით ოტიას ძე ნიჟარაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ტფილისის ქართველ საზოგადოებას მისი პატივის მცემელნი და მეგობრები. პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს დეკემბრის 27-ს, ქვაშვეთის ეკლესიაში დღის 1 საათზე.

დაობლებული შვილები ირაკლი, ილია, ნინო, ვასო, სერგო და გიორგი უთურგაურები დიდი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

## ირინე ვასილის ასულის უთურგაურის

გარდაცვალებას: პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 6 საათზე. გამოსვენება მოხდება კვირას 29 იანვარს დილის 10 საათზე ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ბინიდან არსენალის ქუჩა № 9 დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 190

გულდათუთქული მშობლები გიორგი და მარიამ, დები ნატალია ცუცავა, ბიძები მიხეილ და აბა ჯიბლაძეები სიმონ და ექვთიმე ნაკაიძენი მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობებს და მეგობრებს სტუდენტი

## საშა (ალექსანდრე) გიორგის ძე ჯიბლაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია შაბათს 28 იანვარს ა. ს. დაბა სუფსაში. 919

# მასწავლებლობა

ხვალ ტფილისში გაიხსნება კულტურის დარგის მუშაკთა სრულიად საქართველოს ყრილობა. ამ ჟამად ჩვენს ხელთ არ არის ზედმიწევნითი სწორი ცნობა ხსენებულ კულტურის ძალთა რაოდენობისა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მათი რიცხვი აღემატება ათი ათას კაცს. საქართველოსათვის ეს ისეთი დიდი ფაქტორია კულტურისა, რომლითაც შესაძლოა ფრიად სერიოზული ნაბიჯის გადადგმა ხალხის კულტურულ ამაღლების საქმეში და ამგვარად დიდი საეკონომიო მიზნის აღსრულებაც.

ყველასათვის აშკარაა: საქართველო ღარიბია არა მარტო იმიტომ, რომ მას მატერიალური კაპიტალი აკლია, პირიქით, მატერიალური კაპიტალის სიმცირე ჩვენი გონებრივი კაპიტალის სიღარიბის შედეგია. ჩვენ არაფერი ვიცით მეურნეობის, მრეწველობის, არც ერთი სპეციალური დარგისა. ჩვენი სკოლები და მასწავლებლები, ხელოვანნი, მწერლები და მეცნიერნი ნამდვილი ჩინოვნიკები არიან, ყველგან და ყველაფერში ბიუროკრატიული და ძველი სულის მექონენი. ცოცხალი სკოლა ცხოვრების და წარმოების ჩვენში სრულიად არ არსებობს. ჩვენ მუდამ ვფიქრობდით და თეორიულად ვსჯელობდით სკოლების გადახალისების შესახებ, სოვდეპტორების როლშიაც გამოვდიოდით, მაგრამ ეს ისე ზედაპირითი პროპაგანდა იყო, რომ ერთი კულტურული იდეისა, რომ არსებითად ჩვენი მუშაობაც არ იყო გამომწვევი საკულტურო ცხოვრების ძირითადი რეორგანიზაციისა.

ჩვენი უნივერსიტეტი, სკოლა, მასწავლებელი და ლიტერატორი ყველანი ერთად წარმოადგენდნენ ძველ კასტას უფრო მწერლებისას, ვიდრე ცოცხალი ევოლიუციონური და რევოლიუციონური სკოლის თუ ძალების შექმნა-აღზრდისას.

თებერვლის რევოლიუცია ცხოვრების ყოველ დარგში ქარიშხლით გადაიარა, რომელმაც ვერ ამოგლიჯა დუხჭირი წყობილების ისტორიული ფესვები. იგი რევოლიუცია სკოლასაც ნაკლებად შეეხო თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ დემაგოგიას, პროპაგანდას და უშინაარსო საიგიტაციო გამოსვლებს, რომელშიაც ძველი ტიპის დელეგატები ძლიერ იყვნენ დახელოვნებულნი, მაგრამ რაიც, როგორც საეკონომიო, ისე საკულტურო დარგებს უფრო რყვნიდა და ქაოსამდე დაღებითი, აღმშენებლობითი მუშაობის მაგიერ.

დღესაც ძველი მეთოდების და სასკოლო სისტემის ჭაობში ვართ ჩაფლულნი. მასწავლებლისა და პროფესორისათვის აღზრდის ტაძარში მხოლოდ საათების ნიშნები არსებობენ, ციფერბლატის ნიშნის შემდეგ ახალთაობასა და ხელმძღვანელთა შორის სწყდება ყოველივე კავშირი და შემდეგ, როგორც ერთისა, ისე მეორესათვის იწყება სხვა ცხოვრება, სხვა ინტერესები, რომელთაც სკოლასთან არავითარი კავშირი არ აქვთ.

დღეს მასწავლებელი არა თუ მარტო მასწავლებელია, იგი ამავე დროს ნებსით თუ უნებლიეთ წმინდა წყლის სპეკულიანტიც არის, ვაჭარიც, კარგია, თუ ის რაიმე სხვა ხელოსნობას ეკიდებს ხელს. არა თუ აღზრდის ისტორია, მეთოდი და ისტორიის მოვალეობანია მისი ზრუნვის საგანი, პირიქით, ჩვენი სკოლები თავიანთ ძალებს ყურადღებას მაშინაც ვერ იპყრობენ, როცა სკოლის მთელი შენობა ინგრევა, როცა ინვენტარი გაპარტახების პროცესშია, როცა ხდება აშკარა ლიკვიდაცია მთელი მატერიალური კულტურისა.

ვინ ფიქრობს დღეს სახელმძღვანელოებზე, მოწაფეების ექსკურსიებზე, მის სპეციალურ და კულტურულ აღზრდაზე? ვინ მისდევს ჩვენს ახალთაობას კვალ-და-კვალ, რომ მან ცხოვრების სიცოცხლე წიგნებში ჰპოვოს და წიგნების ჰამოცანები ცხოვრებაში დაინახოს? ვინდაა დღეს იმავე ახალთაობას წვრთნიდეს ხალხისათვის, ცდილობდეს სკოლის პროცესშიაც მის ჩაბმას ხალხის გათვითცნობიერების საქმეში—ერთი სიტყვით მკვდარი სასკოლო კულტურის ნიადაგზე ახალი სასკოლო შემოქმედების გაჩაღებას. თუ ძალით არა, შესაძლოა, ჩვენ კატეხიზისისა და ლათინური არქეოლოგიის ლექვისათვისაც არ დაგვენებებია თავი, სკოლებიდან არ გაგვეგდო შავრაზმული მასწავლებლები და პროფესორები, რომ მით ახალი ცხოვრების ახალი შეგირდები გამოსულიყვნენ სათანადო ადგილებზე.

საქართველოს სკოლის საკითხი დღესაც ცენტრალი პრობლემაა. ჩვენი კულტურის პერსონალი საჭიროებს დიდ ტეხას, დიდ წმენდას და დიდს გადახალისებას. მასწავლებლობას უნდა დაუყენოთ დიდი მოთხოვნილებანი, თავისი საქმისადმი მხურვალე დამოკიდებულება საზოგადოებისათვის არ არსებობს არავითარი გასამართლებელი მიზეზი სასკოლო კულტურის დეგენერაციის, თუ მასწავლებელს რაიმე მიზეზი ხელს უშლის თავის საქმის კეთებას—ის მოვალეა იბრძოლოს ამისათვის, მაგრამ ვიდრე თავის პოსტზეა სავსებით აღასრულოს თავისი მოწოდება.

მეორე მხრივ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მასწავლებელთა ცხოვრების ჯოჯოხეთურ პირობებს. ჩვენი კულტურის ძალები ქრონიკულად სიმშილობენ, ადგანან ფიზიკურად გადაშენების გზას. ჩვენ არ გვჭირია მრავალი სკოლა, რომელიც სკოლის სახელს ატარებს მხოლოდ. მოგვეცით კარგად მოწყობილი და საკმაოდ უზრუნველყოფილი კადრი აღმზრდელთა—აი რაა ქვეყნისათვის სასურველი. ლიკვიდაცია ყველასი, რომელთაც ორგანიულად არ შეუძლია ახალი ცხოვრების გაგება და სკოლას მისდევს, როგორც პროფესიონალი ლოთი არაყსა—ასეთი ძალები უნდა განიდევნოს სკოლიდან განურჩევლად ასაკის, მიმართულების და სქესისა გვყავანდნენ ცოტანი, მაგრამ სულიერად და ხორციელად ჯანსაღნი, გამობრძმედილნი, ღონიერნი; ამათ ჩვენ პასუხსაც მოვთხოვთ, მოვალეობას მოვაგონებთ, ისინი ახალი სკოლის ახალი ძალების წინამძღოლები იქნებიან.

სახელმწიფომ ამ სასიცოცხლო საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს, ხვალინდელი ყრილობა უნდა იყოს საქმიანი, სერიოზული, ჩვენი ცხოვრების გადამხალისებელი და ამამოძრავებელი.

ნაკლები ლაპარაკი, მეტი საქმე; ნაკლები კინკლაობა მეტი თანხმობა; საქმეები, გეგმები, საღი იდეები—აი რა გზით მივდივართ ჩვენც ამ ყრილობასთან.

მაგრი.

# ნინო...

დღეს ნინოობაა. მართლმორწმუნე ქართველი ხალხი პატივს სცემს დღევანდელ დღეს. იგი მოიგონებს იმ წმიდა ნინოს, რომელიც „განმანათლებლის“ სახელწოდებით მოუნათლავს ხალხის გონებას.

ქრისტიანიზმი, თავისი პირველყოფილი სახით, მართლაც, რომ ახლო იდგა „მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა“ მოთხოვნილებებთან. იგი ერთგვარი რეაქცია იყო, აღმოცენებული მონობის წინააღმდეგ, რომელიც მონასა და ბატონს ათანასწორებდა თავის შემეცნებაში და ძმობა—თავისუფლების ლოზუნგებს აყენებდა.

ეს ლოზუნგები, დღესაც 20 საუკუნის შემდეგ კვლავ ხდება „ტვირთ მძიმეთა“ წინაშე და ამ ლოზუნგებისათვის კვლავ გოლგოთისაკენ მიჰყავთ ჯვრით ხელში მოწამენი. დღესაც არიან პილატენი, რომელნიც „ხელს იბანენ“ და გულგრილად შესცქერიან მოწამეობრივ სიკვდილს.

წმ. ნინოც, ძმობა-ერთობის შემომტანია საქართველოში. იგი იმიერი ცხოვრების „საუკუნო ნეტარებისაკენ“ მოუწოდებდა ქართველ ხალხს, მაშინ ესეც დადებითი მოვლენა იყო, თუ ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ.

დღეს კი, მწარე სინამდვილის წინაშე ვდგავართ და ვიცით, რომ მარტო „ლოცვა“ აღელვებულ ზღვაში ნავს ვერ გადაარჩენ თუ „ხელებიც“ არ ვამუშავეთ. ვიცით, რომ „მაშვრალთა“ თავისუფლება შედეგი იქნება არა იმიერი, ტრანსცედენტური სამყაროს ძიებისა, არამედ ამიერი, იმანენტური აზრის ძიება, ცხოვრების სამართლიანად განწესრიგების საშუალებით.

ქართველი მუშისათვის წმ. ნინო უნდა იყოს არა მარტო განყენებული რელიგიური ფანატიზმის ნიშანი, არამედ სიმბოლო სათნოებისა, ძმობისა, ერთობისა და თავისუფლებისა.

ეს იდეალები კი მოითხოვს „სულითა და ხორცით განწმენდას“ და მედგარ ბრძოლას ამიერ სამყაროს მჩაგვრელთა წინააღმდეგ, რომ „სამოთხე“ სიკვდილის შემდეგ კი არ ვეძებოთ, არამედ სიცოცხლეშივე მოვიპოვოთ იგი.

ხ—ელი.

# მემარჯვენე ფედერალისტების „გაბედული“ ოპოზიცია.

3.

მემარჯვენე ფედერალისტები ჩვენ გვიკიჟინებენ „პორაჟენცობას“. ეს ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ სულ ახლა წამოაყენეს. სად ქონდათ მემარჯვენეებს ეს გაბედული აზრი დღემდე შემონახული თუ თებერვალ მარტში ჩვენი მოქმედება მემარჯვენეების მთავარმა კომიტეტმა მოიწონა და არ იყო მოქმედება პორაჟენცების—მას შემდეგ რა შეიცვალა, რა მოხდა, რისთვის წამოგვიყენეს მხოლოდ დღეს ეს ბრალდება?

უნდა განვაცხადოთ შემდეგი. ჩვენ სისტემატიურად ვებრძოდით მენშევიკურ მთავრობას თავის პოლიტიკაში. არა მარტო პრესაში, ყოველა მუშათა გამოსვლაში ჩვენ, მემარცხენეები, ბოლშევიკებთან ერთად გამოვდიოდით მენშევიკური „ყვითელ“ პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს იცოდა გადატრიალებამდე მთელმა ქვეყანამ, იცოდა ეს ძველმა მთავარმა კომიტეტმაც. გაზეთი „სახალხო საქმე“ ჩემს ყველა წერილს არ ბეჭდავდა, ხოლო რედაქციის თავხედობა იმამდი მიდიოდა, რომ სრულიად უბრალო წერილსაც უკეთებდა სარედაქციო შენიშვნებს, რასაც მეორე დღესვე ვაშლევინებდით რედაქციას გაზეთშივე აღნუსხვით. ჩვენ მოვუწოდებდით მუშებს გაფიცვამდე, რაშიაც არ გვეთანხმებოდა ძველი კომიტეტი.

რასაკვირველია ყოველივე ეს არ ნიშნავდა „პორაჟენცობას“. თვით ომის დროს, ჩვენ არ გვინდოდა საქართველოს ლაშქრის დამარცხება, მისი დაუძლურება; არ გვინდოდა იმიტომ, რომ არეულ-დარეული ჯარი და გაქცეული ლაშქარი ფიზიკურ გაქცევის და ტერიტორიის აოხრების აუცილებელი პირობაა. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა ომის მოწონებას. ჩვენ ვიყავით ომის წინააღმდეგ და იმ მომენტში, როცა ჯარის [illegible] ურჩევდით მთავრობას და ყველას ვეუბნებოდით პოლიტიკურ აქტს—ომისათვის თავის განებებას, ზავს და ბოლშევიკებთან შეთანხმებას.

ჩვენ ვიცოდით, რომ ომის წარმოება არ შეგვეძლო, ვიცოდით, რომ რაშიშვილის ინფორმაცია ბოლშევიკური ჯარის ბანდების შესახებ სიყალბე იყო, ვიცოდით, რომ ჩვენ ომით ხალხის საქმეს დავღუპავდით და ასეთს პირობებში მაინც ომი უნდა გვექადაგნა? ომის წარმოება საჭირო იყო მენშევიკური მთავრობის ევროპაში მშვიდობიანად წასვლისათვის, მენშევიკურმა მთავრობამ ომი აწარმოვა ვიდრე ის სამშვიდობოდ მივიდოდა გემებთან და როგორც კი გემებს თავი შეაფარა ხსენებულ მთავრობას „სვანეთის უკანასკნელი კლდე“ დაავიწყდა და ომიც შეწყვიტა. ნუ თუ დღეს სავსებით მართალი არ არის მდგომარეობის გაგება ჩვენის მხრივ? ნუ თუ არაა აშკარა, რომ საქართველოს ტრაგედიაზე ლაპარაკი უფრო ლამაზი დეკორაცია იყო მენშევიკებისათვის, ხოლო შინაარსი კი გაბედვით არსებითად მენშევიკური მთავრობის გადარჩენა?

ტფილისის შემდეგ არა მარტო ჩვენთვის, ყველასათვის, თვით მენშევიკური მთავრობისათვისაც ცხადი იყო ომის წარმოების უაზრობა, ომი მოასწავებდა მხოლოდ და მხოლოდ უბედურებას, ომის ქადაგება კი იყო გულუბრყვილო ხალხის პროვოკაციის ქსელში გაბმა და მემარჯვენე ფედერალისტებისათვის თურმე ეს პროვოკაციული პოლიტიკა ყოფილა სიბრძნე, რომელშიაც ისინი დარწმუნდნენ ჩვენი მოქმედების დადასტურების შემდეგ.

უკვე ათმა თვემ განვლო იმის შემდეგ, დღეს ყველაფერს ვითვალისწინებთ დაწვრილებით სრულის შეგნებით ვაცხადებთ: მენშევიკურს მთავრობას რომ მიეღო ჩვენი რჩევა ბოლშევიკებთან მოლაპარაკების და შეთანხმების შესახებ მაშინ, როცა ტფილისი ჯერ კიდევ არ იყო აღებული, ხოლო მოსკოვი განსაკუთრებულ ყურადღებით მოეპყრობოდა ჩვენს საზავო პირობებს—საქართველოს საკითხი დღეს იქნებოდა სრულიად სპეციფიური მდგომარეობაში, მრავალი ახალგაზრდა გვეყოლებოდა ცოცხალი და მთელი ამიერეთი გადარჩებოდა აოხრებას.

პოლიტიკაში სანტიმენტალობას კი არ უნდა დაუთმოთ ადგილი და დემაგოგია კი არ შეიძლება ლეგიტიმურად დავსახოთ, არამედ რეალური მდგომარეობა სისწორით წარმოვიდგინოთ და საქვეყნო საქმე გადავწყვიტოთ ქვეყნის ინტერესების მიხედვით—თუნდაც ზოგადად თუ კონკრეტად იგი ინტერესები არ ეგუებოდეს პარტიის ინტერესებს. არის მომენტები ისტორიაში, როცა პარტიის დროშა უნდა დავხაროთ ქვეყნის დროშის წინაშე. მენშევიკებმა თავიანთი დროშას შესწირეს საქართველოს ინტერესები და ამ გვარად ათას ერთჯერაც დაივიწყეს საქართველოს მოთხოვნილებანი.

ამგვარად, არა პორაჟენცობა, არამედ მახვილის და იარაღის ჟღარუნის უარყოფა როცა მახვილი არა სჭრის, ხოლო აღება ასეთი მახვილის, რომელიც, მართალია დასცემდა მენშევიზმს, როგორც ასეთს. მაგრამ ქვეყანას საუბედურობას მოუტანდა აი ჩვენი პოლიტიკა და ტაქტიკა თავის დროზე ნაწარმოები ჩვენი მხრივ. არსებითად ჩვენი პოლიტიკის უარყოფა ნიშნავდა პორაჟენცობას, ქვეყნის დამარცხებას, ვინაიდან ნამდვილი პორაჟენცი ის არის, ვინც [illegible], შეუძლია თუ არა მისი ჟღარუნი, და ხალხს თავზე ატეხს ნამდვილს დამარცხებას.

გვიპასუხეთ მემარჯვენე ფედერალისტნო: კერენსკი იყო პორაჟენეცი რუსეთში თუ ლენინი? კერენსკი იარაღს

აჟღარუნებდა, ლენინი კი ზავს მოითხოვდა, კერენსკი რუსეთის სახელზე ლაპარაკობდა, ლენინმა კი სამარცხვინო ზავიც მიიღო, მაგრამ რომელი გამოდგა მათში მართალი ან პრაქტიკოსი?

კერენსკი, რომელიც მყვირალა ფრაზით გამოდიოდა რუსეთის სასარგებლოდ, დღეს ყველასი მიერ მიჩნეულია რუსეთის ნამდვილ პორაქეწცად, ლენინმა კი უსიტყვოდ მიიღო ზავი, მაგრამ დღეს რუსეთის აღმშენებლს უწოდებენ. ანალოგიური სურათი გადაიშალა საქართველოში. ჩვენში კერენშჩინის ტიპიური სახე გახლდათ მენშევიკური მთავრობა, მაგრამ რუსეთის მძლავრმა პროლეტარიატმა კერენშჩინას ადვილად მოუღო ბოლო, საქართველოში კი ეს ვერ მოახერხა ჩვენმა შედარებით უძლურმა პროლეტარიატმა და მას დასპირდა უცხო ძალის გამოყენება.

რევოლიუციის ორიენტაცია!—აი რა იყო ჩვენი მთავარი გეზი. ამ ორიენტაციას ვქადაგებდით ჩვენ პარტიაში და ხალხში მაშინაც, როცა ბოლშევიკების ხსენებაც არ იყო. გეკითხებით: დღეს გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენი ორიენტაცია და ტაქტიკა სასარგებლო გამოდგებოდა მთელი ქვეყნისათვის იგი რომ გაეზიარებინა მენშევიკებს და სხვა ხელმძღვანელ ძალებს?

თქვენ გვეუბნებით—მომავალი გვიჩვენებსო, მაგრამ მომავალი რას გვიჩვენებს—ამას მომავალივე გვეტყვის, მაგრამ დღემდე ვინ გაამართლა ცხოვრებამ?

თქვენ გვირჩევდით ინგლისურ გემების პოლიტიკას, საბოლოოთ თქვენ შერჩეთ ისევ ლოიდ ჯორჯის ძლიერებას და სამარცხვინო ბროშიურას სცემთ (ვითომც) სტამბოლში. თქვენ საქართველოზე სწერთ სტამბოლიდან—ეს ფიგურალი განსახიერებაა მთელი თქვენი პოლიტიკისა, ჩვენ კი საქართველოს დედა ქალაქში დავრჩით, იქ, სადაც ვცხოვრობთ, ვსწერთ და ვლაპარაკობთ რასაც მუდამ ვსწერდით და ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით როგორადაც შეგვიძლია.

ინგლისურმა გემებმა თქვენ ჯერ მხოლოდ სტამბოლში მიგიყვანათ. განა ამას არ გეუბნებოდით მუდამ? ეხლა გიწინასწარმეტყველებთ ახალს თქვენს მარშრუტს: ინგლისის გემების ძირი უკვე საგრძნობლად მომპალია, ილოცეთ მისი გამთელებისათვის, მაგრამ ძალიან ახლო მომავალში სტამბოლშიაც ალიმართება სოციალიზმის წითელი დროშა და ინგლისის გემების გიბრალტარისაკენ გაქანებით იმდენადვე თქვენც მოშორდებით საქართველოსაც..

თედო ღლონტი.

## 26 იანვარი
(დასასრული).

მართალია დღეს ჩვენი სტუდენტობა ოპოზიციურად არის განწყობილი რევოლიუციის მიმართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი საშუდამოდ დაშორებული არიან რევოლიუციის პროცესს. თუ გადავავლებთ თვალს ახალგაზრდობის მოძრაობას, ნათლად დავინახავთ, რომ იგი ყოველთვის სოციალისტურ მოძრაობის წინა რიგებში სდგას და მისი დამახასიათებელი თვისებაა რევოლიუციური ენტუზიაზმი და გაბედული რადიკალიზმი.

საფრანგეთში თუ პირველად ახალგაზრდათა მოძრაობა ჟორესისტული და ალემანისტური მიმართულების გავლენის ქვეშ არის, შემდეგ იგი ევრეიზმს უკავშირდება, რომელიც უფრო მეტ რევოლიუციურ პლატფორმას აყენებს და ცდილობს ინტელიგენტური ავანგარდით მუშათა კლასის რევოლიუციურ მოძრაობაში მოყვანას. ახალგაზრდობა ებრძვის პარტიების ოპორტიუნიზმს და სად რევოლიუციურ გზაზედ სდგას, რომლის ილიუსტრაციაა მსოფლიო ომის გამოცხადების დროს, ახალგაზრდობის გამოსვლა ქუჩაში წითელი დროშით, როდესაც შოვინისტურად განწყობილი საფრანგეთის ერი ცხოველური სიგიჟით შეიარაღებისაკენ ისწრაფოდა.

თითქმის ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი გერმანეთში. გერმანეთის სოციალისტური ახალგაზრდობა კარლის ლიბკნეხტისა, კლარა ცეტკინისა, დუნკერისა და სხვების ხელმძღვანელობით ებრძვის სოციალ-დემოკრატიის რეფორმისტულსა და ოპორტიუნისტულ პოლიტიკას, შემდეგ იგი სპარტაკელებთან და დამოუკიდებლებთან ერთად ღვრის სისხლს, ხოლო უკანასკნელ დროს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალში შედის. ავსტრიის ახალგაზრდებიც მემარცხენე მარქსისტებთან იყვნენ კონტაქტში, შვეციაში, ნორვეგიაში და დანიაში. ასეთივე მაგალითებია. დღეს ევროპისა და აზიის, ამერიკისა და ავსტრიის კონტინენტზედ სოციალისტური ახალგაზრდობა მემარცხენე პოზიციაზედ სდგას. ასე, რომ საერთოდ სოციალისტური ახალგაზრდათა მოძრაობის ფიზიონომია მართლაც, რომ მჭიდროდ დაკავშირებულია რევოლიუციონურ მოძრაობასთან.

ჩვენში, როგორც კაპიტალისტურად პრიმიტიულ ქვეყანაში, ახალგაზრდათა მოძრაობა მოსწავლე ახალგაზრდობის სახით არსებობდა. ორი დიდი მომენტი ახდენდა ახალგაზრდათა მოძრაობაზე გავლენას. ერთი მხრით ეროვნული მონობა, ხოლო მეორე მხრით მუშური მდგომარეობა მოსწავლე ახალგაზრდათა. (ანალოგიური ხასიათის იყო ჩეხეთის ახალგაზრდა მოძრაობის ფაქტორები) და მართლაც მან იქ მოიყარა თავი, სადაც სოციალისტურ პრინციპებთან ერთად დაინახა შეგიგებული ეროვნული პრობლემის რაციონალური გადაჭრაც. ასეთი კი იყო და არის „სოციალფედერალიზმი, ჩვენი ახალგაზრდობა, რომლის მოწინავე ნაწილია სტუდენტობა ამ ფრონტზედ ყოველთვის იჩენდა შეუდარებელ გმირობას და თავისი გულმკერდით იცავდა საქართველოს და ქართველ მშრომელის ინტერესებს.

დღეს სტუდენტთა ნაწილი მართალია „განზედ სდგას“, მაგრამ ამის მიზეზია უფრო ფსიხოლოგიური განწყობილება ვიდრე პოლიტიკური მოსაზრება. იგი ხედავს დეფექტებს სახელმწიფოებრივი წყობილებაში და ახალგაზრდული ოპოზიციური ბუნება ვერ ჩერდება პოზიციის ბანაკში. ამასთანავე ჩვენ სტუდენტობის ნაწილი ჯერ არ მისულა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვებას შეუძლია საქართველოს პრობლემის მიზანშეწონილი გადაჭრა და არა კამ ტალის მაგნატებს. ასეთი განწყობილება მხოლოდ უბრალო მომენტია, რომელიც დიდხნობით არ შეიძლება სტატიკურ მდგომარეობაში დარჩეს. ამას გვეუბნება სოციალისტურ ახალგაზრდათა მოძრაობის ლოღიკა და მისი ბუნება.

რამდენადაც სისწორით იქნება წარმოებული სადი ეროვნული პოლიტიკა და უარყოფილი იქნება ეროვნული ნიჰილიზმი, იმდენად ჩვენი სტუდენტობის ყველა ნაწილი ისევ დაიჭერს საპატიო ადგილს თანამედროვე რევოლიუციურ მოძრაობაში და გახდება მომავალი სოციალური ურთიერთობის ღირსეული ხელმძღვანელი.

საბჭოთა რუსეთი კარგად გრძნობს იმ საზოგადოებრივი წრის დიდ მნიშვნელობას, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს მომავალს და ამიტომ სტუდენტობა უზრუნველყოფილია, რამდენადაც ამას ხელს უწყობს არსებული ეკონომიური პირობები. ჩვენი ხელისუფალნიც ზომებს იღებენ ამ მხრივ და ვფიქრობთ, რომ სადად გაგებული ინტერესი, ქვეყნისა, მშრომელისა და რევოლიუციისა, მოითხოვს უნივერსიტეტის მდგომარეობის წარმატებას და სტუდენტთა ასე თუ ისე უზრუნველყოფას.

ახალგაზრდობა ხალხის, ერის მომავალია. ახალგაზრდობა და განსაკუთრებით სტუდენტობა, რეზერვია მომავალი ბრძოლების გაჩაღებისა. იგი იმედია კულტურული შემოქმედებისა და საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლისა, ყველამ ხელი უნდა შეუწყოთ უნივერსიტეტის გაძლიერებას და როგორც, ჩეხეთის ხალხი სიხარულით იძენდა პატარა ქაღალდს („ჩეხეთის მატიცას“ რომელიც ურიგდებოდა წ. კ. გამ. საზოგადოებისაგან მათ დამხმარეთ) და „ხატის“ მგზავსად ლამაზ ჩარჩოებში სვამდა და მით ამაყობდა, ისე ჩვენც უნდა ვიამაყოდ უნივერსიტეტის ყოველმხრივი დახმარებით და სიხარულით და გულის სიწრფელით უნდა მივიტანოთ თითო აგური იმ ტაძრის დამთავრებისათვის, რომელსაც ქართული უნივერსიტეტი ეწოდება.

ჩვენშიაც უნდა გამოჩნდეს კომენიუსები, რომელნიც მთელ ენერგიას სწავლა-აღზრდის სწირავდნენ და დააფუძნებენ საწავლებლებს, უნდა გამოჩნდენ პესტალოცები, რომელნიც სწავლა განათლებისათვის სამსახურში სილაჭაკესაც ადვილად აიტანენ და თუ ანტიურ ხანაში სწავლის მფარველობამ შექმნა დიდებული კულტურა რომისა და საბერძნეთისა, ჩვენშიაც სწავლის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებამ უნდა მოგვცეს დიდებული კულტურა ისტორიის მიერ განაწამები საქართველოსი, რომელმაც ხელ-უხლებელი და სამარადისო ძეგლი უნდა დაიმკვიდროს მსოფლიოს ლიტერატურისა და მეცნიერების პანთეონში.

დღეს თუ ნახევრად მშიერი სტუდენტი ლუკმა-პურისათვის შრომით დაქანცული, სადამოს ჟამს მიაბიჯებს წყნეთის ქუჩით უნივერსიტეტისაკენ, არ უნდა დაეცეს სულიერად და მტკიცე რწმენა მეცნიერების სამსახურისა, ურყევი იმედი ქვეყნისა და ხალხის პატრონობისა და შეუდრეკელი და დაუდალავი სულის-კვეთება ეროვნული კულტურის აყვავებისა, უნდა იყოს იმ ენერგიის რეზერვუარი, საიდანაც მრავალ განსაცდელში გამოწრთობილი ქართველი სტუდენტი მიიღებს ძალას, რომლითაც ღმერთსაც კი შეებრძოლება სინათლის მოსაპოვებლად და აწყვეტილი ამირანის გაქანებულ მაჯებს გადაბანს ისე, რომ თვით ჯოჯოხეთის ეშმაკებმაც ველარ გაბედონ დაჩაგვრა და დამონება საქართველოსი...

ხერ. ამაღლობელი.

## სონეტი ნინოს

ჩვენთან მოსვლისას მეტყველებდი ვაზის ჯვრის მცველი.
მაყვლის ფოთლები შენ გიწყვდა სახლის ყავრობას.
საკვირველია: სარკინეთზე არმაზი მწველი,
როგორ დასძლიე დღეობაში მცხეთის მთავრობას.

ქრისტიანობით აგვირგვინებ ქალწულ მგზავრობას.
გაცსა და გაიმს დაუკარგე დიდება ძველი.
შენ ჩააქსოვე ჩვენს წარმართულ სულის სტავრობას—
ავხორცი თმები, წინაპართა ლოცვებით სველი.

ნანა დედოფალს განუკურნე მთვარის სენები.
ალბად გწყალობდა მზე ბეთლემის პორფირიანი,
რომ სვეტიცხოველს მუხლს იყრიდა თვით მირიანი.

თოთხმეტ იანვარს შენი დღეა მოსახსენები.
ბოდბის მონასტერს გაუშლიხარ ცისფერ იაში.
ასე ახსოვხარ შენს საყვარელ ივერიაში.

შალვა კარმელი.

1917 წ.

## ახალი ამბები

— სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაავალა კოტე მაყაშვილს, ლეო ქიაჩელს და ვარლამ რუხაძეს წარუდგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს და სთხოვონ სასწრაფო გამოძიება დაინიშნოს მწერალ თედო რაზიკაშვილის მკვლელობის შესახებ. დაცულ იქნას მწერლის ოჯახი ბოროტმოქმედებისაგან და ხელუხლები მისი ქონება.

— 20 იანვარს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ ლეო ქიაჩელის მოხსენებით დაადგინა: მოეწყოს ქართულ წიგნის დღესასწაული და ხაქარია ჭიჭინაძის ორმოცდა ათი წლის მოღვაწეობის აღნიშვნა. დღესასწაულის გეგმის შედგენა დაევალა საბჭოს პრეზიდიუმს.

— ამავე სხდომაზე კოწია გამსახურდიას მოხსენებით პრინციპიალურად მიღებულ იქმნა მწერალთა სალონის დაარსება, სათანადო პროექტის შედგენა მიენდო ლექციების მომწყობ კომისიას.

— სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს სარედაქციო კოლეგია ამ ჟამად იმუშავებს გეგმას გამომცემლობის შესახებ. განზრახულია გამოცემა ძველი და ახალ მწერლების ნაწარმოებთა მთელი რიგისა.

— ხომ კრა ჟურნალი „ხელოვნება“, რედაქციამ მიიღო გერმენ ლეონიძის რედაქტორობით გამოცემული ყოველწლიური ჟურნალი „გედარევესტი“ (ხელოვნება). წიგნი გამოცემულია კარგ ქაღალდზე, ლამაზად და ფაქიზად, რომელშიაც სხვათა შორის დაბეჭდილია განსვენებულ გიორგი თუმანიშვილის და ლ. მელიქსეტბეგის წერილები ძველი და ახალი ქართული მწერლობის შესახებ. წიგნში მოთავსებულია ი. გრიშაშვილის უკანასკნელი სურათი.

— ბოსტნების მომზადება ზაფხულისათვის. კომუნალური მეურნეობის სამიწათმოქმედო განყოფილებამ დაადგინა დახმარება გაუწიოს პროფკავშირებსა და მუშებს, რომლებმაც ქალაქის განაპირა ადგილებში აიღეს ბოსტნები და ბაღები დასამუშავებლად. დახმარება იქნება, როგორც სათესლით ასე სამეურნეო იარაღებით.

— ქ. შ. წ. კ. გ. მაღაზია გადავიდა იმავე შენობაში მიუღმანის მაღაზიაში, ორიანტის გვერდით.

— მელითონეთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობამ ყრილობისათვის აირჩია პროფკავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. მაჩკევიჩი.

— ლიტერატურა და გაზეთები მუშებისათვის. სადამშენებლო და ხის დამამუშავებელ წარმოებათა პროფკავშირის მუშების და მოსამსახურეთათვის გაზეთების მიწოდება შესაძლებელია წარმოების და სამეურნეო ორგანოების ხარჯზე, რისთვისაც აღნიშნული ხარჯები უნდა შედიოდეს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვაში.

— მუღანის დახახლება. მუღანიდან რევოლიუციის შემდეგ გადახვეწილი რუსები ხელმეორედ ბრუნდებიან იქ ჩასასახლებლად. ჩრდილოეთ მუღანი უკვე დასახლებულია, უმთავრესად, მუღანიდან წასულებით, არიან აგრედვე ახლად ჩამოსახლებულნი ყუბანიდან.

— ბათომის ნავთსადგურში მოვიდა 21 და 22 იანვარს გემი „პესტელი“ 6,500 ფუთ სხვა და სხვა საქონლით დატვირთული, 397 მგზავრით და ორი იალქნიანი ნავი. 23 იანვარს მოვიდა 2 იალქნიანი ნავი 100 ფუთი ბადსით და გავიდა ნავთსადგურიდან 2 გემი—ოსმალეთის—„თავრიზი“ და იტალიის „ნიმფა“,—ორივე კონსტანტინეპოლში, სხვა და სხვა ტვირთით 5520 ფ. და 20 მგზავრით და 8 იალქნიანი ნავი სხვა და სხვა ტვირთით 3299 ფუთ.

23 იანვარს დილის 12 საათისათვის ნავთსადგურში იდგა: 10 გემი და 81 იალქნიანი ნავი.

— სრულიად საქართველოს პროფკავშირების ყრილობა მელითონეთა პროფკავშირ. საქალაქო კონფერენციამ 1 თებერვლისათვის სრულიად საქართველოს პროფკავშირების ყრილობის დელეგატებად აირჩია ამხ.: ავალიშვილი ეკგენი, დოგუნოვა, ილინი, მაქსიმოვა, პრეობრაჟენსკი, ტაბიძიშვილი, შავლაძე და ხოჯაევი.

— ვალიუტის კურსი ტფილისის კერძო ბირჟაზე. 25 იანვარს (ათას მანეთებში):

| | | |
|---|---|---|
| სტერლინგი | — | 1380 |
| ფრანგული ფრანკი | | 28,5 |
| იტალ. ლირა | — | 16, |
| ოსმალეთის ქაღ. ლირა | | 280 |
| ოქრო (10 მან.) | — | 1620 |
| ოქრო (ლირა) | — | 1400 |
| დოლარი | — | 332 |
| გერმანული მარკა | — | [illegible] |
| ნიკოლ. 500 მან. | — | 480 |
| კერენ. 1000 მან. | — | 25 |
| ადერბეიჯანის | — | [illegible] |

— ვალიუტის კურსი ბათომში 24 იანვარს (ათას მანეთებში):

| | | |
|---|---|---|
| ლატვიის მანეთი | — | 300 |
| ესტონეთის მარკა | — | 250 |
| პოლონეთის მარკა | — | 30 |
| ოქროს 10 მ. (რუს.) | | 900,0000 |

— ხაერთო ვნეშტორგის ცნობა. სტამბოლის ბაზარზე დიდია რუსეთის გავლენა. მყიდველი საქონლის უმთავრესად რუსი ვაჭარია. ინტენსიურად ხდება რუსეთისაკენ გემების გამგზავრება სხვა და სხვა საქონლით. განსაკუთრებით სწარმოებს ვაჭრობა ბათომით.

## რუსეთი

მოსკოვი. 19 იანვარი. სრულიად რუსეთის ც. პ. კ. დაამტკიცა მიწათ-მოქმედების მიერ წარმოდგენილი დებულება მეტყევეობის მართვის შესახებ სახელმწიფოს მიერ. ეს დებულება ვრცელდება რუსეთის მთელ ფედერაციაში.

მოსკოვი. 19 იანვარი, კანიდან პარიზში წასვლის წინ, ლოიდ ჯორჯმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ გენუას კონფერენციას იგი სთვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრებათ, რომელიც ოდესმე ყოფილა მსოფლიოში. ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი პირველად შეხვდებიან ერთმანეთს ევროპის ზავის საკითხის განსახილველად. 10 დღის შემდეგ ლონდონში შეიკრიბება კომისია კონფერენციის პროგრამის შესამუშავებლად. ლოიდ ჯორჯი იმედოვნებს, რომ გენუაში შექმნილ იქნება ხალხთა კავშირი ან ასოციაცია უფრო ფართე მასშტაბით, ვიდრე არსებული ხალხთა ლიგა. ამ მომავალ ლიგასა ანუ ასოციაციაში შევა სამი დიდი ეროვნება: ამერიკა, გერმანია და რუსეთი.

მოსკოვი. 12 იანვარი. უმაღლესმა საბჭომ გამოიმუშავა კონფერენციის პროგრამა. კონფერენცია პირველ რიგში შეუდგება იმ პრაქტიკულ საშუალებათა შესწავლას, რომელიც საჭიროა ხალხთა შორის ზავის უზრუნველყოფისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია საერთაშორისო ვაჭრობა. კონფერენცია ეცდება ზავის დაცვას. იგი შეუდგება მთელ რიგ სახელმწიფოთა ფინანსიურ მდგომარეობის გამორკვევას. შეისწავლის სახელმწიფოებიდან კერძო კრედიტების მიღების პირობებს ევროპის აღსადგენად. ყურადღება მიექცევა სატრანსპორტო საშუალებათა გაუმჯობესებას და გაზვითარებას.

მოსკოვი. 18 იანვარი (რადიო). იტალიის მთავრობამ დაადგინა შეადგინოს საგანგებო კომისია პრემიერ ბონომის თავმჯდომარეობით გენუის კონფერენციის დაწვრილებით პროგრამის გამოსამუშავებლად, კონფერენციის მოსამზადებელ სამრეწაო მუშაობის და დელეგატების მისაღებად.

მოსკოვი. 18 იანვარი. ამერიკის მუშათა კავშირის თავმჯდომარემ, ცნობილმა გომპერსმა, გაგზავნა პროტესტი გენუის კონფერენციაში ამერიკის მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის წინააღმდეგ, სადაც აღნიშნავს, რომ ეს წარმოადგენდა ამერიკის მიერ ლენინისა და ტროცკის რუსეთის წარმომადგენლებად აღიარებას.

## უცხოეთი

ვაშინგტონი. 19 იანვარი, გერმანიის მთავრობის სააგენტო იუწყება: ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებით, პუებლას (მექსიკა) მუშებმა გამოაცხადეს საბჭოთა რესპუბლიკა და დაიწყეს მიწების გაყოფა, რომლებიც მომეტებულ ნაწილად ეკუთვნიან ესპანიელებს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ექიმი
ნ. ა. არუთინოვმა
განაახლა მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელ რაზმის ქუჩ. ახალბებუთოვის ქ. № 5.
(Новобебутовская.) 1